

კაუზაციის, ნებელობის და უნებლიე ქმედებების გამოხატვა ქართულსა და ინგლისურში

ავტორი მარიამ ორკოდაშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თბილისი, ალექსიძის 10.

ელ-ფოსტა: morkoda@yahoo.com

ანოტაცია:

წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს კაუზაციის, ნებელობის და უნებლიე ქმედების გამოხატვისთვის გამოყენებულ სტრუქტურებს. ნაშრომი კაუზატივების და ნებელობის / უნებლიობის გამომხატველ ერთეულებს და გამოხატვის საშუალებების შედარებით ანალიზს ახდენს ქართული და ინგლისური ენების მასალაზე, გერმანული ენის ზოგიერთი მაგალითის მოყვანით.

ამ საკითხებს ნაშრომი ლინგვისტური დისტანციის ჭრილში განიხილავს, რაც ფილოგენეტიკურ-შეპირისპირებითი კვლევის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კაუზაციის გამოხატვა სხვადასხვა ენებში ტემპორალურ თანმიმდევრობასთანაც არის დაკავშირებული. თუ ერთი ქმედება სისტემეტურად წინ უსწრებს მეორე ქმედებას, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ქმედებებს შორის არის კაუზაციური კავშირი (გამონაკლისების გარდა); ხოლო თუ ქმედებების თანმიმდევრობა არასისტემატურია, მაშინ საქმე უფრო კორელაციასთან გვაქვს. ნებელობა და უნებლიე ქმედებები კი ხშირად ლატენტური კაუზაციით შეიძლება გადმოიცეს.

საკვანძო სიტყვები: კაუზაცია, ლატენტობა, ნებელობა, უნებლიე ქმედება, აფიქსაცია, ლინგვისტური დისტანცია.

შესავალი

ლინგვისტური დისტანცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენების შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზის დროს. რაც უფრო მეტად დაშორებულია ენები ფილოგენეტიკურ ხეზე, მით უფრო დიდია მათ შორის ლინგვისტური დისტანცია. ლინგვისტური დისტანციის ფაქტორი ახლებურად წარმოაჩენს მრავალ ენობრივ სტრუქტურას, ერთეულს თუ საკითხს, რაც ისტორიული, ევოლუციური, ლინგვო-გენეტიკური და კოგნიტური სფეროებისთვის ინტერესს წარმოადგენს.

წარმოდგენილი კვლევა წარმოაჩენს ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებით ანალიზის ზოგიერთ საინტერესო საკითხს, კერძოდ კი კაუზაციის, ნებელობის და უნებლიე ქმედების გამოხატვის მექანიზმებს, განსხვავებებსა და ერთი ენიდან მეორე ენაში ამ ცნებების გადატანის მეთოდებს.

ცნობილია რომ, ქართულ და ინგლისურ ენებს შორის ლინგვისტური დისტანცია საკმაოდ დიდია, რადგან ინგლისური მიეკუთვნება ინდოევროპულ ენებს, ხოლო ქართული არა. შესაბამისად, რიგი ენობრივი მოვლენა თუ სტრუქტურა ამ ორ ენაში სხვადასხვაგვარად გამოიხატება, რაც საინტერესო საკვლევ მასალას წარმოაჩენს.

ძირითადი ნაწილი

ქართული გვთავაზობს კომპლექსურ ზმნურ ფორმებსა და აფიქსაციას კაუზაციის, ნებელობის და უნებლიე ქმედების გამოსახატავად, მაშინ როდესაც ინგლისური იმავე შინაარსის მქონე ცნებების გამოსახატავად სინტაქსურ სტრუქტურებს იყენებს.

ცნობილია, რომ კაუზაცია უმთავრესად დამალების, პასუხისმგებლობის და ნებელობის მნიშვნელობას გამოხატავს. მაგალითად, მანქანა გავაკეთებინე [*I had the car repaired*].

თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც უნებლიე ქმედება-კაუზაცია უნდა გამოიხატოს, რაც ქართულსა და ინგლისურში სხვადასხვა ლინგვისტური შრით ხორციელდება. მაგალითად, *ნამცხვარი შემომეჭამა, ინგლისური შემომესწავლა*. ეს ფრაზები ფარული, ლატენტური კაუზაციის მნიშვნელობას ატარებს, და ინგლისურში ვრცელი განმარტება ესაჭიროება აზრის მართებულად გადმოსაცემად.

მამასადამე, კაუზაცია ხშირად ლატენტურ, ფარულ, უხილავ სურვილებს და განზრახვებს გამოხატავს, რომლებიც გარკვეული შედეგის დადგომაზე ფარულად, უხილავად, არაპირდაპირ მოქმედებენ, რაც ქართულში აფიქსაციით გამოიხატება, მაგ: *შემომესწავლა*, ხოლო ინგლისურში ტექსტობრივ ახსნა-განმარტებას მოითხოვს, რათა გადაიცეს ის უნებლიე შედეგი რასაც ქართული ერთეული გულისხმობს.

ქართულში ორი საინტერესო სტრუქტურაა, რომელიც გამოხატავს: 1) ერთი აგენტის (კაუზერის) მიერ აგენტის (კაუზიის) იძულებას, წახალისებას ან შეგულიანებას შეასრულოს

გარკვეული მოქმედება (გაკეთებინა); 2) ერთი აგენტის (კაუზიის) მიერ რაიმე ქმედების გამოწვევას მისი უნებლიე, არაპირდაპირი, ფარული, უხილავი ქმედებით, განზრახვით ან საუბრით (შემომეჭამა, შემოგვედირექტორა).

საინტერესო ლინგვისტური შეპირისპირებითი კვლევის შეთხვევაა კაუზაციური და ინქოატიური მნიშვნელობების შეპირისპირება ქართულსა და ინგლისურში. მნიშვნელოვანია კაუზაციის და ინქოატივის გამიჯვნა. მაშინ როდესაც კაუზაცია ერთი აგენტის მეორეზე ზემოქმედებას გულისხმობს, ინქოატივი ბუნებრივი მოვლენით გამოწვეულ შედეგს აღნიშნავს. მაგალითად, ინგლისურში ზმნა *დაბნელება darken* შეიძლება იყოს როგორც კაუზაციური, ასევე ინქოატიური მნიშვნელობის გამომხატველი დამოკიდებული იმაზე ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი, ე.ი. *I darkened the room by moving curtains over the windows* [მე დავაბნელე ოთახი ფრადების გადაწევით, სადაც დავაბნელე *darken* არის გარდამავალი და კაუზაცივი], და *As the day drew to the close, it darkened* [დღე რომ იწურებოდა, დაბნელდა, სადაც *დაბნელდა darken* არის გარდაუვალი და ინქოატიური]. აქ, ერთ ინგლისურ ზმნურ ფორმას, ქართულში სხვადასხვა აფიქსაციით გამოხატული ორი ფორმა შეესაბამება, ე.ი. *დავაბნელე davabnele* [კაუზაცივი] და *დაბნელდა dabnela* [ინქოატივი].

კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევაა: *შიშმა გადამაწყვეტინა* [*fear made me make this decision*]. აქ ქართულში ერგატიული სტრუქტურა უბიძგებს კაუზაციის მნიშვნელობის გამოხატვას, სადაც ნებელობის და უნებლიე ქმედების მნიშვნელობებია გადაჯაჭვული. ინგლისურში კი ეს შინაარსი სინტაქსური სტრუქტურით გადმოიცემა, *fear made me make this decision*, ხოლო ზმნა *make* კაუზაციის გამომხატველ ერთეულად გაოიყენება.

საინტერესოა ორმაგი კაუზაციის გამოხატვის შემთხვევა ქართულში: *მიგევ ზავნები*, რომელიც აგენტს და პასიენს ერთდროულად მოიაზრებს (*causer = causee*).

ზმნები *let, allow, permit* ინგლისურში, *lassen* გერმანულში ნების ნებართვის ცნებებს გადმოსცემს და კორპუსის ანალიზისთვის საინტერესო ლინგვისტურ ერთეულებს წარმოადგენენ, რაც ენობრივი ტიპოლოგიების დადგენისთვისაც მნიშვნელოვანია. ინგლისურის კორპუსში ისინი ლატენტური კაუზაციის შემთხვევებად მოიაზრება.

ქართულში, აფიქსაციით გამოხატული სიტყვა *გავვიშვა* ინგლისურში გამოიხატება როგორც სინტაქსური სტრუქტურა, '*He let us go*', ხოლო გერმანულში ზმნა *lassen*-ის დახმარებით '*Er ließ uns gehen*'.

ეს საკითხები შემეცნების, მეორე ენის ათვისების და მრავალენობრივი კომუნიკაციის წარმართვის მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენენ, რადგან კომუნიკანტებს და ენის შემსწავლელებს მუდმივად ესაჭიროებათ კაუზაციის, ნებელობის და დამალების იდეების გამოხატვა სხვადასხვა ენაზე. ამრიგად, რამდენიმე საყურადღებო ასპექტი უნდა იყოს გათვალისწინებული ამ ცნებების გამოყენების დროს მეორე ენის შესწავლის და მასზე საუბრისას.

დასკვნა

ყველა ზემოგანხილული საკითხი მნიშვნელოვანია მეორე ენის შესწავლისას და მრავალენობრივ გარემოში საუბრისას, რადგან მოსაუბრეებს და შემსწავლელებს ხშირად ესაჭიროებათ კაუზაციის, ნებელობის და დამალების გამოხატვა სხვადასხვა ენაში და კულტურაში.

ლიტერატურა:

ბრაუნი 1996 - Brown, Jason W. (1996). *Time, Will, and Mental Process*. Cognition and Language, A Series in Psycholinguistics. Plenum Press: New York and London.

დანსიგიერი 1998 - Dancygier, Barbara. (1998). *Conditionals and prediction. Time, knowledge and causation in conditional constructions. Cambridge Studies in Linguistics, 87*. Cambridge University Press.

ფუკონიერი 1996 - Fauconnier, Gilles and Sweetser, Eve. (eds.) (1996). *Spaces, Worlds, and Grammar*. The University of Chicago Press: Chicago and London.

გილკინი 2010 - Gilquin, Gaëtanelle (2010). *Corpus, Cognition and Causative Constructions*. Studies in Corpus Linguistics 39. John Benjamins Publishing Company.

ქოზინსკი, პოლინსკი 1993 - Kozinsky, I. & M. Polinsky. (1993). 'Causee and patient in the causative of transitive: coding conflict or doubling of grammatical relations?'. In B. Comrie & M. Polinsky (eds), *Causatives and transitivity*. Amsterdam: Benjamins, 177-240.

კრატცერი 2012 - Kratzer, Angelika. (2012). *Modals and Conditionals*. *Oxford Studies in Theoretical Linguistics*. Oxford University Press.

ლეიკოფი და როსი 1972 - Lakoff, George and Ross, J. R. (1972). A note on anaphoric islands and causatives. *Linguistic Inquiry* 3: 121-125.

ფარიქი 2010 - Parikh, Prashant. (2010). *Language and Equilibrium*. The MIT Press: Cambridge, Massachusetts.

ფერლ 2009 - Pearl, Judea. (2009). *Causality. Models, Reasoning, and Inference*. Second Edition. Cambridge University Press.

ფილიპი 1998 - Philipp, Marthe. (1998). *Semantik des Deutschen*. *Germanistische Lehrbuchsammlung*. Band 13. WEIDLER Buchverlag Berlin.